ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5259548

ნომერი: AR1799626

თარიღი : 20.01.2021

გაცემის თარიღი : 22.01.2021

გაცნობის თარიღი : 22.01.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N122;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილ ტატიაშვილი პ/ნ 59001077431
- გორი შ.რუსთაველის ქ. N 30

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 20

იანვარს №AR1799626 განცხადებით მომართა ვასილ ტატიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანებით შეთანხმდა შეთანხმდა ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №122-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.11.029.074) მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა "ბ" ბლოკი არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 29 ივნისიდან 2022 წლის 29 მარტის ჩათვლით.
სამსახურის 2020 წლის 06 ნოემბრის №5176770 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ზემოაღნიშნულ ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდა: 4923.25 კვ.მ., საოფისე ფართობად 2887.85 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 745.90 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 607.20 კვ.მ., დამხმარე ფართობად 24.90 კვ.მ.
ამასთან, სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანებით შეთანხმებული -3.00, +24.90 და +31.50 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდა 2020 წლის 14 ოქტომბრის №AR1781893 განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, დამხმარე ფართობი 24.90 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 150.5 კვ.მ, საერთო ფართობი 4923.25 კვ.მ-ის ნაცვლად 5048.85 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, გეგმები არ იცვლება, ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: დამხმარე ფართობი: 150.5 კვ.მ., საერთო ფართობი: 5048.85 კვ.მ.
2. სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანებით შეთანხმებული +8.40, +11.70, +15.00, +18.30, +21.60, +24.90, +28.20 და +31.50 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 29 ივნისის №4990959 და 2020 წლის 06 ნოემბრის №5176770 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.